ყ.ჯ.ს

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

23923388766714

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N140835383

რეგისტრაციის თარიღი

08.08.2014 წ

ნოტარიუსი: ხათუნა ჯანხოთელი
მისამართი: ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ. მე-2 ჩ. №2, რუსთაველის გამზ. 20-24, ფართი №17
ტელეფონი: (0431) 244 250

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი
ორი ათას თოთხმეტი წლის რვა აგვისტო

მე, ნოტარიუსს, ხათუნა ჯანხოთელს, სანოტარო ბიუროში, მდებარე ქალაქი ქუთაისი რუსთაველის გამზ. მე-2ჩ. №2, რუსთაველის გამზ. 20-24, ფართი №17-ში, მომმართა **შ.პ.ს. „ზ.მ“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი 212709434) დამფუძნებელმა პარტნიორმა, საწესდებო კაპიტალის 50.00 %-ის მფლობელმა ზაზა შანიძემ** (დაბ. 06.07.1964 წელს, რეგ.მისამართზე: **ქუთაისი რ.თაბუკაშვილის ქ. N 5 ბ. 16,** პირადი №60001004600). მან განაცხადა, რომ სურს უფლებამოსილება მიანიჭოს **მერაბი ჩაგიაშვილს** (დაბ. 12.02.1965 წელს, პირადი №60002003088). მან გამოხატა ნება შეადგინოს მინდობილობა და დაამოწმოს იგი სანოტარო წესით. მისი პირადობა დავადგინე მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით, მისი ქმედუნარიანობა შევამოწმე და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. **შ.პ.ს. „ზ.მ“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი 212709434)** დამფუძნებელი პარტნიორის უფლებამოსილება დავადგინე ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადებული 23.06.2014წ. ასევე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობის ტექსტი და განვუნარტე მინდობილობაზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ მინდობილობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

მე, **შ.პ.ს. „ზ.მ“-ს (საიდენტიფიკაციო კოდი 212709434) დამფუძნებელი პარტნიორი, საწესდებო კაპიტალის 50.00%-ის მფლობელი ზაზა შანიძე** (მონაცემები მოცემულია ზევით) **შემდგომში „მიმნდობი”**, უფლებამოსილებას ვანიჭებ **მერაბი ჩაგიაშვილს** (მონაცემები მოცემულია ზევით) **შემდგომში „მინდობილი”, მასზედ, რომ იგი იყოს ჩემი წარმომადგნელი** ნებისმიერ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირთან, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში - ქ.თბილისის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში; წარადგინოს ყველა საჭირო ცნობა და დოკუმენტი, წარადგინოს განცხადებები, მიიღოს ნებისმიერი საბუთი (მოწმობები, ნებართვები, ცნობები და სხვა) ზემოხსენებული პირებიდან, ჩემი, როგორც დამფუძნებელი პარტნიორის სახელით ხელი მოაწეროს ნებისმიერი სახის თანხობას, საჭიროების შემთხვევაში პარტნიორთა კრების ოქმს, რაც დაკავშირებულია სამშენებლო პროექტთან უძრავ ქონებაზე, მდებარე: თბილისი, დიდი დიღომიდან გლდანში მიმავალ მაგისტრალსა და საავადმყოფოების კომპლექსს შორის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი #01.13.01.004.051), პროექტში ცვლილებების შეტანასთან და თანხმობის მიცემასთან პროექტში ცვლილებებთან დაკავშირებით, მერიის შესაბამის სამსახურთან პროექტის შეთანხმების უფლებით; ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა ძალაშია 2015 წლის რვა აგვისტოს ჩათვლით.

მინდობილობა შედგენილია **სამ თანაბარმნიშვნელოვან** ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცა მიმნდობს, ხოლო ერთი ინახება ნოტარიუსის ხათუნა ჯანხოთელის არქივში, რომელსაც თან ერთვის ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადებული 23.06.2014წ .

მიმნდობმა გადაიხადა სანოტარო მომსახურების საზღაური, საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის №507 დადგენილებით დამტკიცებული წესის 31-ე მუხლის საფუძველზე 10(ათი) ლარი, დღგ 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) და 39-ე მუხლის თანახმად რეგისტრაციის საფასური 2 (ორი) ლარი (დღგ-ეს ჩათვლით).

მიმნდობი: _____

ნოტარიუსი **ხათუნა ჯანხოთელი**